16/09/2025

სსკგ-ის თავმჯდომარემ საღვთო ლიტურგია აღასრულა რომში, წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს ტაძარში

2025 წლის 14 სექტემბერს, სულთმოფენობიდან მე-14 კვირიაკეს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ, რომში, წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს ტაძარში საღვთო ლიტურგია აღავლინა.

იერარქს თანამსახურებდნენ: ტაძრის წინამძღვარი, მოსკოვის საპატრიარქოს იტალიის სამრევლოების ადმინისტრაციის მდივანი, მღვდელმონაზონი ამბროსი (მაცეგორა); ამავე ტაძრის კლირიკოსი, მღვდელმონაზონი კირილე (პორუბაევი); სსკგ-ის თავმჯდომრის მდივანი, მღვდელი ნიკოლოზ ვასინი და მომლოცველი სასულიერო პირები.

წირვის დასასრულს, მიტროპოლიტმა ანტონიმ წაიკითხა ქადაგება ლიტურგიაზე წაკითხული მაცხოვრის იგავის თემაზე – საქორწილო ნადიმის შესახებ.

ასევე, მეუფე თბილად მიესალმა თანამწირველ სასულიერო პირებსა და მრევლს, და სიხარული გამოხატა იმ ეკლესიაში ლოცვის შესაძლებლობის გამო, სადაც ის რამდენიმე წლის განმავლობაში წინამძღვრად მსახურობდა.

მონაზონმა
ლიტურგიის

mospat.ru/ge